



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №09

2013 წლის 23 იანვარი

ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „უნიმედ აჭარა“-სათვის სამედიცინო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე საშუალო წნევის გაზსადენის ქსელის მშენებლობისათვის საჭირო გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „უნიმედ აჭარა“-ს თანდართული სქემების შესაბამისად სამედიცინო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე საშუალო წნევის გაზსადენის ქსელის მშენებლობისათვის საჭირო გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე.

2. შ.პ.ს. „უნიმედ აჭარა“-მ უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის სახაზო ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს.„ანეტ A-NET“-ი, შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი, ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სააგტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს (ბ.რომანაძე, ბ.დიასამიძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი

